საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა
G E O R G I A
KHARAGAULII MUNICIPALITY BOARD

5600, ხარაგაული, **9** აპრილის ქ. **15** ტელ.**: (433) 221520**
N15. 9Aprili str. Kharagauli
Tel: (433) 221520
E-mail: kharagauli@imereti.ge

N 49/3245
16/09/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ მანანა ბარბაქაძეს

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N 506 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 767 473 ლარი. ამ თანხის ფარგლებში დაგეგმილია 125 პროექტი. სოფელ კიცხში (პროექტი N125) საზოგადოებრივი სახლის მშენებლობის სამუშაოების ელექტრონული შესყიდვისას წარმოიშვა ეკონომია 5 473 ლარი და ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ვაშლევში (პროექტი N 13) ხიდ-ბოგირის საფარის შეცვლის სამუშაოებში წარმოიშვა ეკონომია თანხით 4 00 ლარი, ჯამში 5 873 ლარი. აღნიშნული თანხიდან:

1. 1500 ლარი მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს პროექტ N 34-ს წყლის 16 ტონიანი რეზერვუარის 30 ტონიანი რეზერვუარით შეცვლის გამო;
2. ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ უბისაში მოსახლეობის თხოვნით დაგეგმილი გვაქვს მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა თანხით 1 182 ლარი (თანდართულ ცხრილში N126 პროექტი) ;
3. კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თეთრაწყაროში სტიქიის შედეგად დაზიანებული ვეფხვაძეებისა და შავიძეების უბნის გზის შეკეთებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოქმნილი ეკონომიის თანხიდან დაიხარჯოს 2 113 ლარი (თანდართულ ცხრილში N127 პროექტი);
4. დარჩენილი თანხა 1 078 ლარი კი მოხმარდეს წყლის პლასტმასის ავზების შეძენას ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულისათვის (თანდართულ ცხრილში 128 პროექტი).

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული საკითხი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი